

შპს „ენგური ატრაქცია“
ფინანსური ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	2,411,849	2,122,710
არამატერიალური აქტივები		63,861	17,901
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,475,710	2,140,611
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		778	7,470
საგადასახადო აქტივები		71,618	4,432
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		105,655	1,612
ფული და ფულის ექვივალენტები	5	45,611	57,435
სულ მიმდინარე აქტივები		223,662	70,949
სულ აქტივები		2,699,372	2,211,560
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი		5,315,844	3,855,502
დაგროვილი ზარალი		(2,679,565)	(1,645,510)
სულ კაპიტალი		2,636,279	2,209,992
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და საგადასახადო ვალდებულებები		63,093	1,568
სულ მიმდინარე ვალდებულებები		63,093	1,568
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,699,372	2,211,560

დირექტორი: ნიკოლოზ ანთიძე




მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი	6	220,689	96,150
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(298,321)	(51,017)
საერთო მოგება/(ზარალი)		(77,632)	45,133
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(969,208)	(715,880)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(1,046,840)	(670,747)
ფინანსური შემოსავალი	5	12,785	4,838
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(1,034,055)	(665,909)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება / (ზარალი)		(1,034,055)	(665,909)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(1,034,055)	(665,909)

დირექტორი: ნიკოლოზ ანთიძე

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება.


	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2021	3,158,300	(979,601)	2,178,699
წლის სრული შემოსავალი		(665,909)	(665,909)
კაპიტალის ზრდა	697,202		697,202
31 დეკემბერი 2022	3,855,502	(1,645,510)	2,209,992
წლის სრული შემოსავალი		(1,034,055)	(1,034,055)
კაპიტალის ზრდა	1,460,342		1,460,342
31 დეკემბერი 2023	5,315,844	(2,679,565)	2,636,279



დირექტორი: ნიკოლოზ ანთიძე

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.

	საანგარიშგებო პერიოდი	წინა საანგარიშგებო პერიოდი
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1,116,903	-654,922
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-294,921	-32,540
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1,400,000	697,202
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-11,824	9,740
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	57,435	47,695
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	45,611	57,435



დირექტორი: ნიკოლოზ ანთიძე

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

შპს „ენგური ატრაქცია“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404535071) დაფუძნდა 2017 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის დამფუძნებელი იყო სს საქართველოს ენერგეტიკის განვითარების ფონდი.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალის 100% წილის მფლობელი არის შპს „ენგურჰესი“, რომლის დამფუძნებელი და 100% წილის მფლობელი არის საქართველოს სახელმწიფო, კერძოდ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ენგურჰესის თაღოვან კაშხალზე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას და შემდგომში მის მართვას.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ., N 8,

მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დაშვებით, რომ კომპანია არის ფუნქციონირებადი საწარმო და გააგრძელებს მოღვაწეობას მომავალში. ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს მისი ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა და არც იძულებული არ არის. კომპანიის საანგარიშო პერიოდი კალენდარული წელია 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს წელიწადში ერთხელ

საანგარიშგებო ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ლარი (ლარი), რაც წარმოადგენს საწარმოს ფუნქციურ ვალუტას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგები განეკუთვნება ისეთ აქტივებს, რომელიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განეკუთვნება კომპანიის მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად. ელემენტები აღიარდება სასაქონლო-მატერიალურ მარაგად, მანამ სანამ არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, რომელშიც ის იმყოფება.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა უნდა განხორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. კომპანია ცვეთის გაანგარიშებისას იყენებს წრფივ მეთოდს.

ძირითადი საშუალების გაყიდვის ან გამოყენებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ განხორციელდეს აქტივის თვითღირებულების ჩამოწერა გამოთვლილი ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	40 -80 წელი
მანქანა-დანადგარები	10– 40 წელი
სატრანსპორტო საშუალებები, კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	5 – 10 წელი
მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა	არა ცვეთადი

აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას თითოეულ საანგარიშო პერიოდის ბოლოს. შეფასების ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულ საფუძველზე.

დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობა აღიარებულია თვითღირებულებით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს ძირითადი საშუალებების სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომელსაც ესაჭიროება გარკვეული დრო, რათა ეს გრძელვადიანი აქტივები მიიყვანოს იმ მდგომარეობამდე, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. სანამ სამშენებლო პროცესი არ მივა ასეთ მდგომარეობამდე, კომპანია მას აღრიცხავს როგორც დაუმთავრებელ მშენებლობას და შემდეგ გადააქვს ძირითადი საშუალებების შესაბამის ჯგუფზე.

ვალდებულებები

კომპანიის ვალდებულებები ძირითადად წარმოიშობა სამეურნეო ოპერაციების და მოვლენების შედეგად. მოკლევადიან ვალდებულებად აღიარდება ისეთი ვალდებულება, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში, ხოლო გრძელვადიან ვალდებულებად აღიარდება ვალდებულება, რომლის დაფარვაც უნდა მოხდეს ბალანსის შედგენის თარიღიდან ერთ წელზე მეტი პერიოდის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მოგების გადასახადში შესული ცვლილება:

2017 წლის 1 იანვრიდან ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება საწარმოში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით საწარმოს მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად თუ საწარმოში რჩებოდა. 2017 წლის 1 იანვრიდან საწარმოები იბეგრებიან მოგების გადასახადით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, ხარჯები რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

პირითადი საშუალებები

საბალანსო ღირებულება	შენიშვნა-ნაგებობები	ავტომატიზირებული	კომპიუტერები, ავეჯი და სხვა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2021	7,119	-	63,116	2,058,748	2,128,983
შეძენა	1,400	6,359	7,117	4,025	18,901
ჩამოწერა	-	-	(7,700)	-	(7,700)
31 დეკემბერი 2022	8,519	6,359	62,533	2,062,773	2,140,184
შეძენა	-	-	48,014	213,732	261,746
კაპიტალში შეტანა	-	60,342	-	-	60,342
ჩამოწერა	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	8,519	66,701	110,547	2,276,505	2,462,272
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2021	(186)	-	(3,268)	-	(3,454)
მიმდინარე წლის ცვეთა	(989)	-	(14,192)	-	(15,181)
ცვეთის ელიმინაცია			1,161		1,161
31 დეკემბერი 2022	(1,175)	-	(16,299)	-	(17,474)
მიმდინარე წლის ცვეთა	(1,065)	(11,275)	(20,609)	-	(32,949)
ცვეთის ელიმინაცია	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2023	(2,240)	(11,275)	(36,908)	-	(50,423)
ნარჩენი ღირებულება					
31 დეკემბერი 2021	6,933	-	59,848	2,058,748	2,125,529
31 დეკემბერი 2022	7,344	6,359	46,234	2,062,773	2,122,710
31 დეკემბერი 2023	6,279	55,426	73,639	2,276,505	2,411,849

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს პროექტის დოკუმენტაციასა და შპს ენგურჰესის ტერიტორიაზე მდებარე ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობას. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გაწეული ხარჯები შეადგენს 2,276,505 ლარს, კაპიტალიზირებულია როგორც მიმდინარე მშენებლობები. ვიზიტორთა ცენტრის სამშენებლო სამუშაოები ფინანსდება კაპიტალის შენატანებით და სავარაუდოდ დასრულდება 2024 წელს. დასრულების შემდეგ იგი მიზნად ისახავს ტურიზმისა და საზოგადოების ჩართულობის გაზრდას, რაც დადებითად შეუწყობს ხელს მომავალ შემოსავლებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო მოთხოვნები	5,827	1,612
ავანსები	99,828	-
	105,655	1,612

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ნაღდი ფული	1,252	1,376
ფული საბანკო ანგარიშზე ეროვნულ ვალუტაში	44,359	56,055
ფული საბანკო ანგარიშზე უცხოურ ვალუტაში	-	4
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	45,611	57,435

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები განთავსებულია კომერციულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ეს ფინანსური აქტივები არ არის გაუფასურებული.

არ არსებობს არსებითი განსხვავება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბალანსო ღირებულებასა და მის სამართლიან ღირებულებას შორის.

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და დაგროვილი ზარალებისგან, რომლებიც კომპანიამ დარიცხა წლების განმავლობაში.

არაფულადი შენატანი მოიცავს ავტომობილს, რომელიც კომპანიას გადმოეცა 2023 წელს და სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა გადმოცემის მომენტში.

შემოსავალი

	2023	2022
შემოსავალი	220,689	96,150
სულ შემოსავალი	220,689	96,150

კომპანიას დანერგილი აქვს ტურისტული მარშრუტები და სხვადასხვა ტურისტული სერვისები გიდის მომსახურებით. გაწეული სერვისების შემოსავალი აღიარებულია იმ მომენტში, როდესაც

მომხმარებელი იღებს მომსახურებას და აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს მისგან, რაც, როგორც წესი, ხდება ტურის დასრულებისას.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
ხელფასები	149,248	-
ბონუსები	56,558	-
რეკლამის ხარჯები	36,575	39,161
ძირითადი საშუალებების ცვეთა	23,818	8,215
მარაგები	15,193	-
სხვა ხარჯები	16,929	3,641
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	298,321	51,017

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

	2023	2022
ხელფასები	420,857	496,084
ბონუსები	173,995	54,143
საიჯარო ქირა	115,999	68,004
რემონტისა და შეკეთების ხარჯი	91,018	-
მივლინების ხარჯი	40,369	8,430
საგადასახადო ხარჯები	22,673	23,939
საწვავის ხარჯები	24,928	20,277
ცვეთა და ამორტიზაცია	16,776	7,542
ოფისის ხარჯები	12,557	11,019
სხვა ხარჯები	50,036	26,442
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	969,208	715,880

ფინანსური რისკების მართვა

კომპანია საქმიანობის ფარგლებში ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით, როგორიცაა:

საკრედიტო რისკი: დანაკარგის ალბათობა იმ შემთხვევაში თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტებთან დაკავშირებული მეორე მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს.
საკრედიტო რისკი - ბანკებში ნაღდი ფულის ნაშთებთან მიმართებაში იმართება საბანკო ნაშთების დივერსიფიკაციის გზით და განთავსებულია მხოლოდ კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში.

ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით.

კომპანია არ არის აქტიურად ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური

მიზნებისთვის და არც წერს ოფციონებს.
გადასახადები:

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობის ხშირი ცვლა, რომელიც ხშირად ექვემდებარება ინტერპრეტაციას. არსებობს განსხვავებული ინტერპრეტაციები სხვადასხვა საგადასახადო ორგანოებსა და იურისდიქციებში. გადასახადები ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას საგადასახადო ორგანოების მიერ, რომლებსაც კანონით უფლება აქვთ დააწესონ მკაცრი ჯარიმები და სანქციები. ამ ფაქტებმა შესაძლოა საქართველოში შექმნას უფრო მეტი საგადასახადო რისკები, ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის წარმოდგენილი.

კაპიტალის რისკის მართვა

მენეჯმენტი ცდილობს შეინარჩუნოს საკმარისი კაპიტალი კომპანიის ოპერატიული და სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად, რაც ძირითადად მიიღწევა ფინანსური რესურსების ეფექტური მართვით და გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმებით, რომლებიც ფინანსდება კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი ორგანოს მხარდაჭერით. წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია კაპიტალის მართვის მეთოდი. კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალის გარე მოთხოვნებს.

	2,023	2,022
სულ კაპიტალი	2,636,279	2,209,992
შემცირება: ფული და ფულის ეკვივალენტები	(45,611)	(57,435)
კაპიტალი	2,590,668	2,152,557
სულ კაპიტალი	2,636,279	2,209,992
სესხები	-	-
სულ დაფინანსება	2,636,279	2,209,992
ფინანსური კოეფიციენტი	98%	97%

დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარე არის პირი ან ერთეული, რომელიც დაკავშირებულია ერთეულთან, რომელიც ამჟამად მის ფინანსურ ანგარიშგებას (ამ სტანდარტში მოხსენიებულია, როგორც „ანგარიშგების ერთეული“).

(ა) პირი ან ამ პირის ოჯახის ახლო წევრი დაკავშირებულია ანგარიშგაღებულ ერთეულთან, თუ ეს პირი:

(i) აქვს კონტროლი ან ერთობლივი კონტროლი ანგარიშგების ერთეულზე;

(ii) აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშგაღებულ ერთეულზე; ან

(iii) არის ანგარიშგების ერთეულის ძირითადი მმართველი პერსონალის ან ანგარიშგების ერთეულის მშობლის წევრი.

(ბ) ერთეული დაკავშირებულია ანგარიშგაღებულ ერთეულთან, თუ მოქმედებს რომელიმე შემდეგი პირობა:

(i) ერთეული და მომხსენებელი ერთეული ერთი და იგივე ჯგუფის წევრები არიან (რაც ნიშნავს, რომ თითოეული მშობელი, შვილობილი და სხვა შვილობილი კომპანია დაკავშირებულია სხვებთან).

(ii) ერთი ერთეული არის მეორე ერთეულის ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო (ან ასოცირებული ან ერთობლივი საწარმო იმ ჯგუფის წევრისა, რომლის წევრიც მეორე ერთეულია).

(iii) ორივე ერთეული არის ერთი და იგივე მესამე მხარის ერთობლივი საწარმო.

(iv) ერთი ერთეული არის მესამე სუბიექტის ერთობლივი საწარმო, ხოლო მეორე ერთეული არის მესამე

ერთეულის ასოცირებული.

(v) ერთეული არის დასაქმების შემდგომი სარგებლის გეგმა ანგარიშგების ერთეულის ან ანგარიშგების ერთეულთან დაკავშირებული ერთეულის თანამშრომლების სასარგებლოდ. თუ მომხსენებელი სუბიექტი თავად არის ასეთი გეგმა, დამფინანსებელი დამსაქმებლები ასევე დაკავშირებულია ანგარიშვალდებულ სუბიექტთან.

(vi) ერთეულს აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს პირი, რომელიც იდენტიფიცირებულია (a) პუნქტში.

(vii) (ა) (i) პუნქტში განსაზღვრულ პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ერთეულზე ან არის ერთეულის (ან ერთეულის მშობლის) მთავარი მმართველი პერსონალის წევრი.

(viii) ერთეული, ან ჯგუფის ნებისმიერი წევრი, რომლის ნაწილიც ის არის, უწევს ძირითადი მენეჯმენტის პერსონალის მომსახურებას ანგარიშვალდებულ ერთეულს ან ანგარიშგების ერთეულის მშობელს.

კომპანიის დაკავშირებული მხარეები არიან მისი მფლობელები, მენეჯმენტი.

საანგარიშო წლის განმავლობაში კომპანიას ჰქონდა შემდეგი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

	2023	2022
მენეჯმენტის ხელფასი და ბონუსები	246,141	80,431
სულ მენეჯმენტის ხელფასი და ბონუსები	246,141	80,431

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

დირექტორი:

ნიკოლოზ ანთიმე